საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-4/344
06/06/2019

344-შ-19-1-4-201906061655

შპს „ახნეტის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F83 ლიცენზიის გაუქმებისა და კომისიის 2011 წლის 21 იანვრის N38/1 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემგომში ”კომისია”) აღნიშნავს, რომ ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისია დამოუკიდებლად ახორციელებს ავტორიზებული პირების საქმიანობისა და ლიცენზიის მფლობელების მიერ რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის რეგულირებას, მათ შორის, ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღებას, მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, ამავე კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრებას.

,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზებისა და სალიცენზიო ან/და სანებართვო პირობების დაცვაზე ზედამხედველობა და მათი დარღვევისას კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება. 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას. ამავე კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „ახნეტი“ (ს/კ 224086076) წარმოადგენს ლიცენზიის მფლობელ პირს. შპს „ახნეტი“ ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NF83 ლიცენზიას კომისიის 2011 წლის 21 იანვრის N38/1 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი - 12317 მჰც ÷ 12817 მჰც;
ბ) რადიოსიხშირული ზოლის სიგანე - 500 მჰც;
გ) გადამცემის სიმძლავრე - 2 ვატი;
დ) სადგურების რაოდენობა - 1 სადგური;

ე) ლიცენზიით სარგებლობის გეოგრაფიული ზონა: ქ. ახალციხე;
ვ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2021 წლის 28 იანვრამდე;
ზ) ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყება;
თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია რადიოსიხშირული სპექტრი გამოიყენოს კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად და ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის;

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „ახნეტი" ფლობდა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციას, რომელიც შეუჩერდა კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N428/3 გადაწყვეტილებით, ვინაიდან კომპანია არ ახორციელებდა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ საქმიანობას (ტელემაუწყებლობის ტრანზიტს) ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. შპს „ახნეტი" ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა რეგულირების ყოველწლიური საფასურის ნულოვან გაანგარიშებებს და ავსებდა სტატისტიკური ანგარიშგების ნულოვან ფორმებს.

კომისია აღნიშნავს, რომ 2018 წლის 26 დეკემბერს ქალაქ ახალციხეში ჩატარებული რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის პროცესში 12317 მჰც ÷ 12817 მჰც სიხშირულ დიაპაზონში, მიტრისის სისტემის ფუნქციონირება არ დაფიქსირებულა. (რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი Nშ-19-10-309, 14.02.2019).

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის" 2019 წლის 18 იანვრის N19/09 წერილის თანახმად შპს „ახნეტის" კუთვნილი რადიოელექტრონული მიმღებ-გადამცემი მოწყობილობები შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის" კუთვნილ რადიოსაკომუნიკაციო ანძებზე განთავსებული არ ყოფილა.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2019 წლის 25 აპრილის №250/23 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს „ახნეტის" რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F83 ლიცენზიის გაუქმებისა და კომისიის 2011 წლის 28 იანვრის N38/1 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების მიზნით. ზეპირი მოსმენის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 30 მაისი 15:00 საათი, ხოლო გადაწყვეტილების მიღების თარიღად ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 სამუშაო დღე.

კომისიის 2019 წლის 30 მაისის ზეპირი მოსმენის სხდომას არ ესწრებოდა შპს „ახნეტის" წარმომადგენელი მიუხედავად იმისა, რომ კომისიის 2019 წლის 25 აპრილის №250/23 გადაწყვეტილება კომპანიას ჩაბარდა 2019 წლის 3 მაისს. ზეპირი მოსმენის სხდომაზე არ გამოვლენილა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F83 ლიცენზიის გაუქმების დამაბრკოლებელი რაიმე გარემოება. სხდომაზე კომისიამ გადაწყვეტილების მიღების თარიღად განსაზღვრა 2019 წლის 6 ივნისის 15:00 საათი.

კომისიის 2019 წლის 6 ივნისის სხდომას არ ესწრებოდა შპს „ახნეტის" წარმომადგენელი. შეტყობინება სხდომის ჩატრების თაობაზე კომპანიას ჩაბარდა 2019 წლის5 ივნისს. სხდომაზე კომისიამ მიიჩნია, რომ სახეზეა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა კერძოდ ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიით გათვალისწინებული რესურსით სარგებლობისა და ამ რესურსის გამოყენებით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების შეწყვეტა ზედიზედ 3 თვეზე მეტი ვადით ან 6 თვით ერთი წლის განმავლობაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის და IX თავის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. გაუქმდეს შპს „ახნეტის" რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F83 ლიცენზია და ძალადაკარგულად გამოცხადდეს კომისიის 2011 წლის 28 იანვრის N38/1 გადაწყვეტილება;
2. დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი):

ა) სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა;
ბ) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ინფორმაციის სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გაგზავნის უზრუნველყოფა;
3. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „ახნეტისთვის“ გაგზავნა (ნ. ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნება (ნ. შოვნაძე);
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს აღნიშნული გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნების დღიდან;
5.გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ; №6) შპს „ახნეტისთვის“ აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
6.კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა მე-3 პუნქტისა) დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი).

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე

კომისიის წევრი

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე